ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4246310

ნომერი: AR1640408

თარიღი : 29.10.2018

გაცემის თარიღი : 02.11.2018

გაცნობის თარიღი : 03.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 34/538); ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ჩლაიძე პ/ნ 01026017136
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. N 11 ბ. 64

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია. რომლითაც კომპლექსურად არსებულ შენობაზე გარკვეული სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.
საკითხის შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

..მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: მოთხოვნის შინაარსის ტექსტში ასახეთ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების შესახებ სრულად ინფორმაცია. მიუთითეთ საკადასტრო გეგმაზე სარეკონსტრუქციო შენობის # აღწერეთ დეტალურად რა ცვლილებებია დაგეგმილი;

..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილი იქნას ხედები შენობის ოთხივე ფასადის ხედების ფიქსაციით;

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ამ ველში აიტვირთოს მხოლოდ ფოტომონტაჟი ფოტოსურათების გარეშე და მეტი თვალსაჩინოებისათვის ატვირთეთ ნახაზები შენობის წინმდებარე კეთილმოწყობთ ქოთნების დატანით, კიბის ცვლილებით და პანდუსის მოწყობით . ასევე წარმოსადგენი გექნებათ არსებული ფასადის ანაზომი ნახაზები (კიბის და სახურავის ჩვენებით, შესაბამისი ზომების მითითებით) და საპროექტო გეგმები ჭრილები და ფასადები დატალურად იქნას დამუშავებული პანდუსი , რომელსაც ასევე მიეთითება ქანობის სიდიდე და პროცენტულობა;

გაითვალისწინეთ : დაცული უნდა იქნას "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკურირეგლამენტის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვარის № 41 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.შესასვლელებში მოწყობილი პანდუსის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 1,0 მეტრისა. ეტლის მოტრიალებისა და ფეხით მოსიარულეთა დასვენების ბაქანი უნდა იყოს ჰორიზონტალური პანდუსის სიგანისა და სიგრძით: სწორხაზოვან პანდუსზე არანაკლებ 1,0 მეტრისა, ხოლო სპირალისებურ პანდუსზე - არანაკლებ 2,0 მეტრისა.

-.პანდუსის გრძივი მიმართულებით მოწყობილი შემაღლება უნდა იყოს სიგრძის 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში სიგრძის 8%). საფეხურები უნდა იყოს ყრუ, სწორი და ხორკლიანი ზედაპირით ამასთან გამონაშვერების გარეშე. (იხ დანართი).
ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს მოთხოვნაზე/განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობაზე და სამსახურის გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.